ეთიკის კომისიის
რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
კომისიის თავმჯდომარე: ოთარ კაჭკაჭაშვილი
კომისიის წევრი: ინგა ბერიძე
კომისიის წევრი: ანა ხურციძე

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 15.12.2021

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 008/21

I შეკითხვა:

6 თვის წინ ადვოკატი X კლიენტს უწევდა იურიდიულ მომსახურებას. იურიდიული მომსახურება მოიაზრებდა უძრავი ქონების შესყიდვაში დახმარებას, კერძოდ: შესყიდვასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების წარმოებას (ფასი, პირობები და ა.შ.); შესაბამისი დოკუმენტების შედგენას; დოკუმენტების X კლიენტის სახელით წარდგენას.

აღნიშნული იურიდიული მომსახურების გაწევის მიმდინარეობის დროს ადვოკატმა მიიღო კონფიდენციალური ინფორმაცია (ფასის, პირობების, ქონების მდგომარეობის შესახებ).

ადვოკატმა წარმატებით დაასრულა ყველა ეტაპი, რის შედეგადაც აღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრე გახდა X კლიენტი.

ადვოკატსა და X კლიენტს შორის ხსენებული საქმის შემდგომ სახელშეკრულებო ურთიერთობა აღარ გაგრძელებულა. X კლიენტთან სამართლებრივი ურთიერთობის დასრულებიდან 6 თვის შემდეგ ადვოკატს იურიდიული მომსახურების გაწევისთვის მიმართა Y კლიენტმა.

Y კლიენტმა ადვოკატს დახმარება სთხოვა უძრავი ქონების შესყიდვაში.

Y კლიენტის მიერ არჩეული უძრავი ქონება აღმოჩნდა ის უძრავი ქონება, რომელიც X კლიენტმა შეიძინა ადვოკატის დახმარებით. ამასთან, შეძენა ხდება X კლიენტისგან (რომელიც, ამ ეტაპზე, წარმოდგენს ყოფილ კლიენტს და არის გამყიდველი).

Y კლიენტისთვის გასაწევი მომსახურება მოიცავს: ადვოკატის მოლაპარაკებებში ჩართულობას X კლიენტთან; შესაბამისი დოკუმენტების შედგენას; დოკუმენტების Y კლიენტის სახელით წარდგენას. დაარღვევს თუ არა ადვოკატი ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ პროფესიული ქცევის სტანდარტებს იმ შემთხვევაში, თუ იგი Y კლიენტს გაუწევს ზემოთხსენებულ მომსახურებას აღნიშნული უძრავი ქონების შესყიდვის პროცესში?

დადებითი პასუხის შემთხვევაში, ადვოკატის რომელი პროფესიული ქცევის სტანდარტების/ვალდებულებების დარღვევას ექნება ადგილი? რა გავლენას ახდენს ის გარემოება, რომ

მეორე მომსახურების გაწევა ხდება 6 თვეში? კერძოდ, ხომ არ შეიცვლება მითითებულ კითხვებზე პასუხი, თუ აღნიშნული ვადა იქნება 1 თვე, ან 3 წელი?

II ანალიზი:

კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატის ქმედებების აღმწერი ჰიპოთეტური ფაქტები განსახილველია ინტერესთა შეუთავსებლობის და კონფიდენციალობის პრინციპის მარეგულირებელი შემდეგი ნორმების გათვალისწინებით:

> „ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას“ („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 8.1).
>
> ინტერესთა კონფლიქტი სახეზეა, როდესაც ადვოკატის ვალდებულებები ორი ან მეტი კლიენტის წარმომადგენლობისას ერთი და იმავე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეში ურთიერთსაწინააღმდეგოა ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 6.2).
>
> „ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით.“ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 4.1).

„ადვოკატის ურთიერთობა კლიენტთან უნდა იყოს დაფუძნებული იმ ფუნდამენტურ და სახელმძღვანელო პრინციპებზე, რასაც განსაზღვრავს აპეკ-ისა და ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის მოთხოვნები, მათ შორის საადვოკატო საქმიანობისას ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია დამოუკიდებლობისა და კონფიდენციალობის პრინციპების დაცვა. ადვოკატის მიერ როგორც არსებული კლიენტის, ისე ყოფილი ან პოტენციური კლიენტის საქმის თაობაზე არსებული ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვის ვალდებულება დროში შეზღუდული არ არის“. (იხ. წერილობითი რეკომენდაცია 011/19, 15.01.2020).

„კლიენტის ინტერესებს შორის კონფლიქტი არსებობს, თუ ადვოკატის მიერ ერთ - ერთი კლიენტისათვის მიცემული რჩევა ან განხორციელებული წარმომადგენლობა ზიანს აყენებს სხვა კლიენტის ინტერესებს“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2011 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება, საქმე N 015/10).

„ინტერესთა კონფლიქტის დროს ადვოკატის მიერ განხორციელებული წარმომადგენლობა წარმოშობს ობიექტურ საფრთხეს ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ ადვოკატისათვის მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობის დარღვევის თაობაზე ან რისკის ქვეშ აყენებს ადვოკატის მიერ არსებული კლიენტის დასაცავად ყველა კანონიერი საშუალების გამოყენების შესაძლებლობას“ (ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 09.06.2011 დისციპლინური საქმე N092/10).

„ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დაცვისას თავი უნდა აარიდოს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს და კლიენტის წარმომადგენლობა უნდა განახორციელოს იმგვარად, როგორც კლიენტი იმოქმედებდა საკუთარი ინტერესებისათვის შესაბამისი ცოდნის, უნარისა და დროის არსებობის შემთხვევაში. ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშობა, თუ ადვოკატის მიერ განხორციელებულ წარმომადგენლობაზე არსებით და უარყოფით გავლენას ახდენს ადვოკატის პირადი ინტერესი ან ვალდებულება კლიენტის, ყოფილი კლიენტის ან მესამე პირის მიმართ (ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 20.04.2011 დისციპლინური საქმე N 015/10).

„ინტერესთა კონფლიქტის გადაწყვეტა მოითხოვს, რომ ადვოკატმა ნათლად განისაზღვროს:

1. ვინ არის მისი კლიენტი ან კლიენტები;

2. არსებობს თუ არა კონფლიქტი;

3. შეიძლება თუ არა წარმომადგენლობის განხორციელება არსებული კონფლიქტის მიუხედავად. თუ კი, გაიარონ კონსულტაცია კლიენტთან და მიიღონ მათგან ინფორმირებული თანხმობა წერილობითი ფორმით.“ (იხ. პროფესიული ეთიკის გლობალური საკითხები, ჯეიმს მოლიტერნო, გვ.146).

„კლიენტის ინტერესებს შორის კონფლიქტი არსებობს, თუ ადვოკატის მიერ ერთ - ერთი კლიენტისათვის მიცემული რჩევა ან განხორციელებული წარმომადგენლობა ზიანს აყენებს სხვა კლიენტის ინტერესებს“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2011 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება, საქმე #015/10).

„…მოწინააღმდეგე მხარედ ჩართვის ფაქტმა შეიძლება წარმოშვას ვარაუდი ინტერესთა კონფლიქტზე, ან ამგვარის წარმოშობის საფრთხე. თუმცა, ზოგადად, ყოფილი კლიენტის (მარწმუნებლის) წინააღმდეგ საადვოკატო საქმიანობა უპირობოდ არ ნიშნავს, რომ დაირღვა ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულება. კონკრეტულ შემთხვევაში ინტერესთა კონფლიქტის ან ასეთის საფრთხის დასადგენად მნიშვნელოვანია, რამდენად გამოიყენა ადვოკატმა ყოფილი კლიენტისგან (მარწმუნებლისაგან) მიღებული, განდობილი ან საქმისწარმოებისას ნებისმიერი სხვა წყაროთი მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ (ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 17.07.2014 დისციპლინური საქმე №002/14).

„საადვოკატო მომსახურების გაწევის შემდეგ აკრძალულია იმ კლიენტის სამართლებრივი დახმარება, რომელსაც ყოფილი კლიენტისაგან განსხვავებული, არსებითად საწინააღმდეგო პოზიცია აქვს იმავე ან სამართლებრივად დაკავშირებულ დავაში. (ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 08.01.2013 დისციპლინური საქმე N 100/11).

„ინტერესთა კონფლიქტის საფრთხის დადგენისთვის არ აქვს მნიშვნელობა, ადვოკატი აპირებდა თუ არა კომპანიისგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენებას ამავე კომპანიის ინტერესების სასარგებლოდ. ის გარემოებები, რომ ადვოკატი მომსახურების უწევდა კომპანიას და ამავე კომპანიის საწინააღმდეგოდ ჩაერთო მეორე პარტნიორის წინააღმდეგ დავაში, წარმოქმნა კლიენტის ინტერესების დაცვასთან შეუთავსებელი ურთიერთობა“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 28.07.20 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N 024/19).

„ზოგ შემთხვევაში, როდესაც კონფლიქტი დაკავშირებულია კონფიდენციალობის ხელყოფასთან ან ნდობის დარღვევასთან, დასაშვებია ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვა კლიენტისგან ინფორმირებული თანხმობის მიღების შემდეგ, მაგრამ როდესაც სახეზეა მძაფრად დაპირისპირებული პოზიციები, როგორიც აქვთ სასამართლო პროცესში დაპირისპირებულ მხარეებს, ამ შემთხვევაში, დაუშვებელია ადვოკატის მიერ ინფორმირებული თანხმობის მიღების შემთხვევაშიც კი თავისი ყოფილი კლიენტის საწინააღმდეგო წარმომადგენლობა. ამერიკის იურისტთა ასოციაციის (ABA) მოდელური წესები ითვალისწინებს იმ შეუთავსებელ ურთიერთობებს, (მოდელური ქცევის წესები 1.7 (ა)) რა შემთხვევებშიც, არ არის შესაძლებელი კლიენტისგან ინფორმირებული თანხმობის მიღების დროსაც კი წარმომადგენლობის განხორციელება. კერძოდ, „1. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის წარმომადგენლობა პირდაპირ დააზარალებს მეორე კლიენტს, 2. მნიშვნელოვანი რისკია იმისა, რომ რამდენიმე კლიენტის წარმომადგენლობა მატერიალურად შეზღუდავს ადვოკატის პასუხისმგებლობას სხვა კლიენტის, ყოფილი კლიენტის, მესამე პირის ან ადვოკატის პირადი ინტერესების მიმართ“ (ეთიკის კომისიის რეკომენდაცია 15.04.2020 N 002/20).

ადვოკატის მიერ კლიენტ X-ისთვის უძრავი ქონების შეძენის საქმეზე გაწეული მომსახურება მოიცავდა მეორე მხარესთან მოლაპარაკებებს, დოკუმენტების შედგენას და მის გაცნობას ქონების გამყიდველთან. შეკითხვაში არ არის დაზუსტებული რა სახის დოკუმენტების შექმნა ევალებოდა ადვოკატს, თუმცა ზემოაღნიშნული ჩამონათვალი ცხადყოფს, რომ საადვოკატო მომსახურება მოიცავდა ყველა იმ მოქმედებას, რაც უკავშირდებოდა ქონების X კლიენტის მიერ შეძენის საკითხს.

შედეგად, ადვოკატმა X-ისთვის გაწეული იურიდიული მომსახურების ფარგლებში მიიღო კონფიდენციალური ინფორმაცია, რაც ეხებოდა ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებას. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დასრულების მიუხედავად, X-ის მიმართ ძალაში დარჩა პროფესიული პასუხისმგებლობა, როგორიცაა კონფიდენციალურობა და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების ვალდებულება.

ადვოკატის მიერ „მეორე საქმეზე“ Y-ის წარმომადგენლობა უწევს იმავე საგანზე, რაზეც X-ს უწევდა სამართლებრივ დახმარებას. ყოფილი და არსებული კლიენტი არ არიან მოდავე მხარეები, თუმცა მათ აქვთ სხვადასხვა ინტერესი. ამ შემთხვევაში, X-ის (ყოფილი კლიენტის) ინტერესი შეძენილი ქონების გაყიდვას ეხება, ხოლო არსებული კლიენტს - შეთანხმების მეორე მხარეს, როგორც ქონების შემძენს სხვა ინტერესი აქვს.

ინტერესთა კონფლიქტი რამდენიმე სახის არსებობს: კლიენტებს შორის, კლიენტსა და მესამე პირს შორის, კლიენტსა და ადვოკატს შორის, მათ შორის, არსებულ კლიენტსა და ყოფილ კლიენტს შორის. მოცემულ შემთხვევაში, შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის ან მისი საფრთხის წარმოქმნის შეფასებისთვის განმსაზღვრელი ფაქტორია, რამდენად შესაძლებელია ყოფილი კლიენტისგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების გარეშე არსებული კლიენტის ინტერესების დაცვა.

ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ შეთანხმების ორ მხარეს (ყოფილ და არსებულ კლიენტს) აქვს სხვადასხვა ინტერესი, საფრთხე ექმნება ყოფილი კლიენტისგან არსებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით მიღებულ კონფიდენციალურ ინფორმაციას (მათ შორის ქონების მდგომარეობის, მომსახურების გაწევისას შექმნილ დოკუმენტებს) რომლის გამოყენებაც შესაძლოა, სასარგებლო იყოს ახალი კლიენტისთვის - როგორც ქონების შემძენისთვის. თავის მხრივ, ამგვარი წარმომადგენლობით

დაცული ვერ იქნება არსებული კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა, რადგან იმავე ქონებაზე გაწეული საადვოკატო მომსახურებით, შესაძლოა, ადვოკატმა იმოქმედოს ყოფილი კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ, რადგანაც საადვოკატო მომსახურების საგანი იგივეა და მხარეთა შორის არსებული შეთანხმებაც ქონების ყიდვა-გაყიდვას ეხება.

ამასთან, შეკითხვა ეხება მეორე კლიენტისთვის საადვოკატო მომსახურების გაწევაზე რამდენად ახდენს გავლენას ის გარემოება, რომ ყოფილი კლიენტთან ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დასრულების შემდგომ გასულია 6 თვე, 1 თვე ან 3 წელი? კოლეგია აღნიშნავს, რომ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების ვალდებულების დაცვა არ არის დამოკიდებული დროის გასვლაზე, მით უფრო როდესაც ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის საფრთხე მომდინარეობს კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებასთან. პროფესიული საიდუმლოების დაცვას არ აქვს ხანდაზმულობის ვადა.

III დასკვნა:

ზემოაღნიშნული მსჯელობის შესაბამისად, შეკითხვაში დასმული ფაბულის გათვალისწინებით კომისიას მიაჩნია, რომ X კლიენტისათვის საადვოკატო მომსახურების გაწევის შემდეგ Y კლიენტის სამართლებრივი დახმარება იმავე საკითხზე, რომელშიც შესაძლოა ახალ (Y) კლიენტს გააჩნდეს ყოფილი კლიენტისაგან განსხვავებული ინტერესები, გამოიწვევს ადვოკატის მხრიდან კონფიდენციალურობისა და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების ვალდებულების დარღვევას. ამასთან, სხვა ეთიკური ვალდებულებებისგან განსხვავებით, კონფიდენციალობის პრინციპის დაცვა არ არის დამოკიდებული ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტასთან, ის განგრძობადია, არ არის შემოსაზღვრული კონკრეტული დროით.

ადვოკატის მიერ აღნიშნული ეთიკური ვალდებულების უგულებელყოფა ზიანს აყენებს არამხოლოდ კონკრეტულ კლიენტს, არამედ საფრთხის ქვეშ აყენებს პროფესიის რეპუტაციას და მის მიმართ არსებულ ნდობას.

მითითება: ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრება და არ აქვს სავალდებულო ხასიათი.

კოლეგიის თავმჯდომარე /ოთარ კაჭკაჭაშვილი/

კოლეგიის წევრი /ინგა ბერიძე/

კოლეგიის წევრი /ანა ხურციძე/